

ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი

2014 წლის
სამეცნიერო ანგარიში

ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი წარმოდგენილია ექვსი დეპარტამენტით და სასწავლო დეპარტამენტების №№1; 2; 3; 5; 6; 8; 9; 10; 11; 12 საგანთა ჯგუფით:

I. ტელეკომუნიკაციის დეპარტამენტი

- ტელეკომუნიკაციის თეორიისა და სისტემების №12 საგანთა ჯგუფი;
- ტელეკომუნიკაციის ქსელების №11 საგანთა ჯგუფი;

II. რადიოტექნიკისა და მაუწყებლობის დეპარტამენტი

III. ელექტროტექნიკისა და ელექტრონიკის დეპარტამენტი

- სამრეწველო ელექტრონიკის №9 საგანთა ჯგუფი;
- ელექტრომოწეობილობათა დიაგნოსტიკისა და რემონტის №10 საგანთა ჯგუფი;

IV. ელექტრომომხმარებლის ტექნოლოგიების დეპარტამენტი

V. ელექტროენერგეტიკისა და ელექტრომექანიკის დეპარტამენტი

- ელექტრული სადგურების, ქსელებისა და სისტემების №5 საგანთა ჯგუფი;
- ელექტრომექანიკის №6 საგანთა ჯგუფი;
- ენერგეტიკის მენეჯმენტის №8 საგანთა ჯგუფი;

VI. თბო და ჰიდროენერგეტიკის დეპარტამენტი

- არატრადიციული ენერგეტიკისა და ენერგოეფექტურობის №1 საგანთა ჯგუფი;

- ჰიოენერგეტიკული დანადგარების №2 საგანთა ჯგუფი;
- თბოენერგეტიკული დანადგარების №3 საგანთა ჯგუფი;

VII. ენერგეტიკული დანადგარების ტექნიკური დიაგნოსტიკისა და ენერგოეფექტურობის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი

ტელეკომუნიკაციის დეპარტამენტი

(ხელმძღვანელი ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი ალექსანდრე რობიტაშვილი)

**ტელეკომუნიკაციის თეორიისა და სისტემების
№12 საგანთა ჯგუფი**

(სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი – სრ. პროფ. ჯ. ხუნწარია)

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

სულ 10 აკადემიური პერსონალი

* პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
	ი. მოღვებაძე, ვ. კუცია, ი. პანიევა	virtualuri ლაბორატორიული სამუშაოები საგანში “მრავალარხიანი ტელეკომუნიკაციის	თბილისი, სტუ	80

	საფუძვლები” (ნაწილი 1)		
<p>დამხმარე სახელმძღვანელოში განხილულია ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარების ვირტუალური მეთოდი Labview პროგრამის გამოყენებით საგანში “მრავალარხიანი ტელეკომუნიკაციის საფუძვლები 1”. მასში მოცემულია ვირტუალური ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარებისთვის კომპიუტერთან მუშაობის აუცილებელი საკითხების აღწერილობა, ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარების მაგალითები, ვარიანტები და ოქმის გაფორმების ნიმუში.</p>			

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	ბეჭდვების რაოდენობა
1	რ.სვანიძე, ჩხაიძე მ.თ, გუბუაძე ზ.ნ.	კავშირის მომსახურების ხარისხის პრობლემა თანამედროვე ტელეკომუნიკაციაში Georgian Engineering News	№2, 2014 წ., გვ. 45-50.	თბილისი, საქართველო, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	6
2	Месташвили К.В., Чхаидзе М.Т., Сванидзе Р.Г., Попов Д.Б.	Новые способы вычисления энергетических спектров линейных сигналов в цифровых волоконно-оптических системах передачи. Georgian Engineering News	№2, 2014, გვ.51-57	თბილისი, საქართველო, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	7
3	რ. სვანიძე, რ. სხირტლაძე, ა. ღლონტი	კავშირგაბმულობის ინგლისურ-რუსულ – ქართული განმარტებითი ლექსიკონი. ტერმინოლოგიის საკითხები.	თბილისი, 2014, გვ. 171-175	თბილისი, საქართველო, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო	5

				უნივერსიტეტი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი	
4.	G.Sh. Kevanishvili, V.D. Meladze, I.G. Kevanishvili, A.G. Robitashvili	Electromagnetic Analysis of a Complex Structure Cylindrical Antenna XIX th International Seminar/ Workshop on Direct And Inverse Problems OE Electromagnetic And Acoustic Wave Theory (DIPED)		Tbilisi, Georgia, September, 22-25, 20014, pp. 59-61.	3
5.	Ph.D. Shalva Kvirkvelia, Prof. Teimuraz Kortua, Prof. Jemal Beridze	Adaptive usage of main resources in MIMO -cognitive radio networks/ Georgian Engineering News	No 2(vol.70) 2014	Georgia	5

ანოტაციები

- დასმულია კავშირის მომსახურების ხარისხის დადგენის პრობლემა საქარველოს კავშირგაბმულობის თანამედროვე სისტემაში. მოყვანილია კავშირის მომსახურების ხარისხის ამაღლების გზები, მომსახურების ხარისხზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციები. შემუშავებულია საქართველოს კავშირის მომსახურების ხარისხის მონიტორინგის ორგანიზაციული სქემა. წარმოდგენილია კავშირის მომსახურების ხარისხის ძირითადი ასპექტები და ნორმები ფიქსირებული კავშირის, მონაცემების გადაცემის, ხმის და სხვა მაჩვენებლების მიხედვით.
- წარმოდგენილია გადაცემის ციფრული ბოჭკოვან-ოპტიკური სისტემების სახაზო კოდების ენერგეტიკული სპექტრების გამოთვლის ახალი ხერხები. მოყვანილია ენერგეტიკული სპექტრების ალბათური მატრიცების გაანგარიშების ახალი მიდგომები, რომელიც მნიშვნელოვნად ამარტივებს სპექტრების გამოთვლებს.
- წარმოდგენილია კავშირგაბმულობის ინგლისურ-რუსულ-ქართული განმარტებითი ლექსიკონის აგების პრინციპები და არქიტექტურა. ლექსიკონი მოიცავს 8500 სიტყვას, ტერმინს და განმარტებას ტელეკომუნიკაციის სადენიანი, უსადენო, მობილური კავშირის, რადიოტექნიკის, ინტერნეტის, ინფორმატიზაციის, ბოჭკოვან-ოპტიკური სისტემების, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, კავშირგაბმულობის საკანონმდებლო, ეკონომიკური და სხვა მიმართულებებით. ლექსიკონის დიზაინი

მოსერსებული და მარტივია. ლექსიკონი გამოქვეყნებულია ვებ გვერდზე WWW.gncc.ge

4. შემოთავაზებულია სპეციალურად კონსტრუირებული ელექტრომაგნიტური ანტენის ანალიზი. ანტენა არის ცილინდრული ფორმის, მრგვალი, გადაჯვარედინებული დიელექტრიკის შრით. აღზნება იწვება აქტიური დიპოლისათვის განლაგებულ ცილინდრის შესასვლელზე. ასეთ ანტენას გააჩნია მაღალი ელექტრომაგნიტური თავსებადობის უნარი, რომელიც მას ხდის პერსპექტიულად. ასეთი ანტენები ანტენების ტექნოლოგიებში აფექტურად არიან გამოყენებულნი.
5. The paper deals with a conceptual model and the algorithm of the MIMO-cognitive system. The optimal resource allocation to maximize the system throughput is discussed. Expressions for the achievable rate as well as Spectral correlation function are presented. The spectral efficiency could also increase by using the cognitive MIMO. We can infer that MIMO - cognitive transmitters and receivers improve significantly the capacity and quality of communication channels.

* სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა:

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/მომხსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია/ რ. სხირტლაძე, ა. ღლონტი, ი. კირკიტაძე, თ. მარღანია, რ. სვანიძე	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პრეზენტაცია საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სტატისტიკური ბაზის შესახებ	ქ. თბილისი, სასტუმრო რედისონ ბლუ ივერია, მსოფლიო საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების (Information and communications Nechnology – ICT) ინდიკატორების მე-12 სიმპოზიუმი, თბილისი, 2014, 26 ნოემბერი

მოსხენებაში წარმოდგენილია საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მონაცემთა ბაზის აგების პრინციპი, რომელიც შემუშავებულია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ. მონაცემთა ბაზა ივსება Online რეჟიმში. მონაცემების ბაზის მიხედვით შესაძლებელია ტელეკომუნიკაციის დარგში ნებისმიერი ტექნიკური და ფინანსური მანევრების გაცნობა, მისი ანალიზი, ICT ინდექსების დადგენა და ა.შ.

სხვა მნიშვნელოვანი აქტივობა

მომზადების პროცესშია ლექციების კონსპექტი

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	კახა ხოშტარია	<p>ოპტიკური გადაცემის სისტემები და სატრანსპორტო ქსელები (ლექციების კონსპექტი)</p>	-	-
<p style="text-align: center;">ანოტაცია</p> <p>ოპტიკურ-ბოჭკოვანი სისტემები ინერგება ყველგან, მათ შორის საქართველოშიც. მათი სრულყოფილი დაგეგმარება და ექსპლუატაცია მოითხოვს ოპტიკური ფიზიკისა და სატრანსპორტო სისტემების და ქსელების აგების პრინციპების საფუძვლიან ცოდნას. ეს საკითხები განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისათვის, რადგან მას გააჩნია სატრანზიტო ფუნქცია, როგორც ევროპა-აზიის შემაერთებელ ქვეყანას შავი ზღვის რეგიონში, სადაც იქმნება ახალი მაგისტრალები საკმაოდ დიდი ტევადობის ინფორმაციული ნაკადების გადასაცემად. ამასთანავე, ის არ აწარმოებს თანამედროვე აპარატურას და ქსელების აგებისას იყენებს საზღვარგარეთიდან შემოტანილ ტექნოლოგიებს, რაც კიდევ უფრო ზრდის სწორად დაგეგმარებისა და ქსელების შემდგომი განვითარების როლს თანამედროვე სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების საფუძველზე</p> <p>DWDM სისტემების გამოჩენისთანავე თავი იჩინა სერიოზულმა პრობლემამ, კვალიფიციური პერსონალის ნაკლებობამ, რაც დღესაც პრობლემად რჩება, განსაკუთრებით ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორცაა საქართველო. ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, საქართველოშიც ინერგება უახლესი ტექნოლოგიები, მომსახურე პერსონალი კი არაა სათანადო დონეზე მომზადებული. აუცილებელია ამას მიექცეს ყურადღება. საჭიროა, რომ ტელეკომუნიკაციის სპეციალობის სტუდენტებმა და ამ დარგში მომუშავე პერსონალმა სპეციალობის ნორმალურად ასათვისებლად იცოდეს უცხო ენა (ინგლისური, რუსული...), რადგან მკითხველის სწრაფად უზრუნველყოფა ქართულ ენაზე გამოშვებული ლიტერატურით რთულია. თუმცა ამ მიმართულებით იღვმება ნაბიჯები, მაგრამ ძნელია ფეხი აუწყო დარგის განვითარების ტემპს. ჩვენ შეძლებისდაგვარად ვცდილობთ მუდმივად გავაუმჯობესოთ სტუდენტებისათვის მისაწოდებელი მასალა, რისთვისაც სისტემატურად ვავსებთ კონსპექტს ახალი პარაგრაფებით. სამწუხაროდ, ის ჯერ კიდევ შორსაა სრულყოფისაგან.</p>				

აღნიშნული კონსპექტი მოიცავს თანამედროვე ტელეკომუნიკაციისათვის მეტად აქტუალურ საკითხებს: ოპტიკური სატრანსპორტო ქსელების (SDH, ATM, Ethernet, OTN-OTH) მოდელები, მათ საფუძველზე ოპტიკური სატრანსპორტო ქსელებისა და სისტემების აგების პრინციპები, ოპტიკური სიგნალების გადაცემასთან დაკავშირებული ფიზიკური პროცესები და მიდგომები; გეომეტრიული, ქვანტური, ტალღური, ზემოთ ჩამოთვლილი ტექნოლოგიების ინფორმაციული სტრუქტურები, ქსელის ელემენტები: მულტიპლექსერები, მაძლიერებლები, ტოპოლოგია, სინქრონიზება, ქსელის დაცვა, მართვა, WDM (DWDM) სისტემების აგებისათვის აუცილებელი პარამეტრების ანალიზი, ოპტიკური სატრანსპორტო ქსელების დაგეგმარებისა და პროექტირების პრინციპები, ერთტალღიანი და მრავალტალღიანი ინტერფეისები, ოპტიკური სატრანსპორტო ქსელის მონაკვეთის მახასიათებლების გამოთვლა WDM სისტემის ერთი ოპტიკური არხისათვის, OSNR – ის განსაზღვრა სხვადასხვა ოპტიკური ქსელური ელემენტების კასკადირებისას, განვითარების ტენდენციები, წრფივი და არაწრფივი ხელშეშლები, მათი გამომწვევი მიზეზები და აღმოფხვრის გზები და ა.შ. თანამედროვე DWDM სისტემები ცალკეულ ტალღის სიგრძეზე გადასაცემა სიგნალების მკვეთრად გაზრდილი სიჩქარეებით (ტევადობებით), რაც მოითხოვს მრავალდონიან მოდულაციებს, სრულიად განსხვავებულ მიდგომებს შედარებით დაბალსიჩქარიანი საარხო სიგნალებით გადაცემისაგან და დისპერსიის აღმოფხვრის სრულიად განსხვავებულ მეთოდებს (ე.წ. კოპერენტული ოპტიკური სატრანსპორტო სისტემები და ქსელები). თუნდაც აქ ჩამოთვლილი საკითხების ნუსხა გვიჩვენებს იმ სირთულეებს, რომლის წინაშეც ვდგავართ სწავლების პროცესში. ჩვენი აზრით ეს საკითხები მთავარია ოპტიკური სისტემების შესწავლის პროცესში. როდის გვექნება სრულყოფილი სახელმძღვანელო, ძნელი სათქმელია.

ტელეკომუნიკაციის ქსელების №11 საგანთა ჯგუფი

(სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი – პროფ. ჯემალ ბერიძე)

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემაღვენლობა:

2 ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, 8 აკადემიური დოქტორი.

* პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	შალვა კვიციანი ჯემალ ბერიძე	LTE ქსელის დადმავალი ფიზიკური არხის პარამეტრების კვლევა Matlab-ის გამოყენებით	2014/25	ინტელექტუალი ქ. თბილისი	7
2	შალვა კვიციანი	დროითი რესურსების გამოყენების ეფექტურობის გაზრდა მობილური კავშირის თანამედროვე ქსელებში პროგრამული რადიოს გამოყენებით (Software defined radio SDR)	2014/26	ინტელექტუალი ქ. თბილისი	8
3	Kvirkvelia Sh.V. Beridze J.L. KortuaT.N.	Adaptive usage of main resources in MIMO – cognitive radio networks	Georgian engineering news Tbilisi	2014/2	7

ანოტაციები

1. მოყვანილია მობილური ქსელების უახლესი LTE ტექნოლოგიის დადმავალი არხის კვლევა MATLAB-ის გამოყენებით. მიღებულია LTE –ქსელის ფიჭებში დაფარვის პარამეტრების გამოთვლის კონკრეტული შედეგები.

2. ნაშრომში შემთავაზებულია მობილური კავშირის ქსელებში დროითი რესურსების გამოყენების ეფექტურობის გაზრდა ე.წ. დამცავი პრეფიქსის

სანგრძლივობის ადაპტური შერჩევით. შედეგად მიღებულია დროითი რესურსის 7%-იანი ეკონომია.

3. ნაშრომში მოყვანილია თანამედროვე მობილური კავშირის ქსელებში MIMO სისტემების მოდელირება კოგნიტური რადიო-მეთოდებით. შედეგად მიღებულია საკითხის გადაწყვეტა შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით, ასევე სისტემების დამუშავება-რეალიზაციის გარეშე.

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ლომსაძე ს. კუპატაძე თ.	კრაკოვის მე-9 საერთაშორისო კონფერენციის მოხსენებები	№9	კრაკოვი	5

ანოტაციები

სტატიაში შესწავლილია მულტისერვისულ ქსელში მომსახურებათა სახეობებზე მომხმარებელთა მიდრეკილება. სტატისტიკური მასალის დამუშავების შემდეგ განსაზღვრულია, თუ დღეს საქართველოს ქსელში შემომავალი მოთხოვნებიდან მომსახურების რომელ სახეობას აქვს მეტი აღბათობა. მიღებული შედეგები იძლევა საშუალებას სწორად შევაფასოთ ქსელის რესურსების აუცილებელი რაოდენობა.

* სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მახარაძე ს. ბერიძე ჯ.	სენსორული ქსელებისა და სენსორების არქიტექტურა	საერთაშორისო კონფერენცია „ბირთვულ-რადიაციული სენსორები და ნანოსენსორული სისტემები“

			თბილისი, 5-9 მარტი 2014წ
<p>მოსხენებათა ანოტაციები</p> <p>მოსხენებაში წარმოდგენილია თანამედროვე სენსორული ელემენტების და სენსორული ქსელების განვითარების პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები. მოყვანილია სენსორული ელემენტების ენერგოეფექტურობის გაზრდის დამუშავებული ალგორითმები.</p>			

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ლომსაძე ს. კუპატაძე თ.	მულტისერვისული ტრაფიკის პროგნოზირების პრობლემები რადიოქსელებში	2-4 ოქტომბერი 2014 წ. ქ. კრაკოვი (პოლონეთი) ახალგაზრდა მეცნიერთა კრაკოვის მე-9 საერთაშორისო კონფერენცია
2	კვიციანი შ.	Adaptive usage of main resources in MIMO – cognitive radio networks	3-14 მარტი, 2014წ. ქ. ტრიუსტე, იტალია
<p>მოსხენებათა ანოტაციები</p> <p>1. მოსხენებაში მოყვანილია განსხვავებული მიდგომა ტრაფიკის გაანგარიშება – ანალიზისათვის მობილური კავშირის ქსელებში სტაციონალურ სატელეკომუნიკაციო ქსელებთან შედარებით. მიღებული შედეგები საშუალებას იძლევა ოპტიმალურად იქნას შერჩეული ქსელის რესურსები.</p> <p>2. მოსხენებაში განხილული იყო მე-4 თაობის მობილური კავშირის ქსელებში დროითი რესურსების ადაპტური გამოყენების საკითხები. მიღებული იყო შედეგი, რომელიც კოგნიტური რადიოს მეთოდებით დროითი რესურსების ეფექტურობის ამაღლების შესაძლებლობას.</p>			

რადიოტექნიკის და მაუწყებლობის დეპარტამენტი

(სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი - პროფესორი ნოდარ უღრელიძე)

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

6 პროფესორი, ერთი ასოცირებული პროფესორი, ერთი ასისტენტ პროფესორი

* პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნ. უღრელიძე ვ. ზურაბიშვილი, დ.გორძამაშვილი	ქართული ანბანის ერთი სტატისტიკური მახასიათებლის შესახებ	რეგისტრაციის № 1289	თბილისი. ტექინფორმი. 17.11.2014.	45
2	G. Sh. Kevanishvili, I. G. Kevanishvili, F. G. Robitashvili, V.D.Meladze, D.D. Doborjginidze, G.G Mushkudiani.	“Electromagnetic Analysis of complex Structure Cilindrical Antenna”. IEE; XIX th Internacional Seminar/Workshop on DIPED Proccedings	Tbilisi, 2014	Tbilisi, 2014	3 (pp. 59-61)

3	G. Sh. Kevanishvili, I. G. Kevanishvili, Z.I. Sikmashvili, D.D. Doborjginidze, G.G Mushkudiani, I. Z. Sikmashvili	“Electromagnetic Scatering on the double-periodic Lattice, Composed of passive Dipoles” IEE; XIX th Internacional Seminar/Workship on DIPED Proccedings	Tbilisi, 2014	Tbilisi, 2014	5 (pp. 62-65)
4	G. Sh. Kevanishvili, G.V. Kekelia, I. G. Kevanishvili, F. G. Robitashvili, G.G. Chikladze, G.G Mushkudiani.	“Calculation of the Radiation Characteristic of the Cylindrical Radome With the Dipole Insterted Into It”	Gen, №3, 2014	Tbilisi, 2014	7 (pp. 8-14)
5	D. Karkashadze, F. Bogdanov, R. Jobava, G. Gabriadze	Edge currnts modelling in problems relating to optimization of high frequency antenna systems	Proceedings of 2 nd International Scientific Conference “ <i>Advanced Lightweight Structures and Reflector Antennas</i> ”	Tbilisi, Georgia, October 2014	7 (pp. 99-105)
6	G. Gabriadze, V.Tskhovrebashvili, F.Bogdanov, P.Tsereteli, R. Jobava	Application of ACA algorithm and Bicgstab solver for acceleration of MoM computations of large scale EM problems	Proceedings of 2 nd International Scientific Conference “ <i>Advanced Lightweight Structures and Reflector Antennas</i> ”	Tbilisi, Georgia, October 2014	7 (pp. 116-122)

7	Faik Bogdanov, Roman Jobava	Hybridization of Mitzner approach for adaptive EM treating of combined geometries including arbitrary shape thin 3D material sheets	Proceedings of XIX International Seminar/ Workshop on Direct and Inverse Problems of Electromagnetic and Acoustic Wave Theory (DIPED-2014)	Lviv-Tbilisi, 2014	5 (pp. 112-116)
---	--------------------------------	---	--	--------------------	--------------------

ანოტაციები

1. თანამედროვე ინფორმაციულ სისტემებში ქართული ასოების ეფექტური კოდირების გამოყენების მიზნით გამოითვალა ქართული ანბანის ასოებისა და მინიმუმ ასოთა წყვილების გამეორების სიხშირე. მოცემული ამოცანის გადაჭრის მიზნით შემუშავდა კომპიუტერული პროგრამა და მოცემული პროგრამით განხორციელდა გარკვეული მოცულობის (50 სხვადასხვა ზომის ტომის ტექსტისათვის, დაახლოებით 14 000 000 ასო) ქართულენოვანი ტექსტების სტატისტიკური ანალიზი.

2. In this paper, a special constructed cylindrical-shaped antenna’s electromagnetic analysis is presented, the formula for calculating the antenna’s radiation characteristics is obtained and appropriate directional diagrams are plotted.

3. Considered a plane E-polarized wave scattering problem on the double-periodic lattice, composed of passive dipoles. At normal incidence the problem is solved correctly – all the boundary conditions are met. Using the interactive method, an approximate value of the lattice reflection coefficient is given in an analytical expression,. Numerical results and their physical analysis are represented.

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ- ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
---	---------------------	---	---------------------------------	--------------------------------------	------------------------

1	N. Ugrelidze T. Kvikvinia, T. Kamkhadze, E.Urushadze	Multi-Amplitude Minimum Shift Keying Signals Designing. IEEE 11-th International Symposium on Electronics and Telecommunications (ISETC '14). Proceedings.	November 14-15, 2014	Timisoara, Romania	4 (pp.123-126)
2	Faik Bogdanov, Roman Jobava, Anna Bzhalava	Generalization of Loop-Star Approach for Adaptive MoM Analysis of Mixed Multiple Geometries of Metals, Dielectrics, Wires and Thin Material Sheets	<i>Proceedings of 8th European Conference on Antenna and Propagation; (EUCAP-2014)</i> Catalog number CFP1477B-USB	The Hague, Netherlands, April 2014	5 (pp. 4013-4017)

სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	G. Sh. Kevanishvili, I. G. Kevanishvili, F. G. Robitashvili, V.D.Meladze, D.D. Daborjginidze, G.G Mushkudiani.	“Electromagnetic Analysis of complex Structure Cylindrical Antenna”.	IEE; XIX th Internacional Seminar/Workshop on DIPED Proccedings, Tbilisi, 2014

2	G. Sh. Kevanishvili, I. G. Kevanishvili, Z.I. Sikmashvili, D.D. Doborjginidze, G.G Mushkudiani, I. Z. Sikmashvili	“Electromagnetic Scatering on the double-periodic Lattice, Composed of passive Dipoles”	IEE; XIX th Internacional Seminar/Workship on DIPED Proccedings, Tbilisi, 2014
3	D. Karkashadze, F. Bogdanov, R. Jobava, G. Gabriadze	Edge currnts modelling in problems relating to optimization of high frequency antenna systems	Proceedings of 2 nd International Scientific Conference “ <i>Advanced Lightweight Structures and Reflector Antennas</i> ” Tbilisi, Georgia, October 2014
4	G. Gabriadze, V.Tskhovrebashvili, F.Bogdanov, P.Tsereteli, R. Jobava	Application of ACA algorithm and Bicgstab solver for acceleration of MoM computations of large scale EM problems	Proceedings of 2 nd International Scientific Conference “ <i>Advanced Lightweight Structures and Reflector Antennas</i> ” Tbilisi, Georgia, October 2014
5	Faik Bogdanov, Roman Jobava	Hybridization of Mitzner approach for adaptive EM treating of combined geometries including arbitrary shape thin 3D material sheets	Proceedings of XIX International Seminar/ Workshop on Direct and Inverse Problems of Electromagnetic and Acoustic Wave Theory (DIPED-2014). Lviv-Tbilisi, 2014

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Faik Bogdanov, Roman Jobava, Anna Bzhalava	Generalization of Loop-Star Approach for Adaptive MoM Analysis of Mixed Multiple Geometries of Metals, Dielectrics, Wires and Thin Material Sheets	<i>Proceedings of 8th European Conference on Antenna and Propagation; (EUCAP-2014)</i> Catalog number CFP1477B-USB.

			The Hague, Netherlands, April 2014
2	N. Ugrelidze T. Kvikvinia, T. Kamkhadze, E.Urushadze	Multi-Amplitude Minimum Shift Keying Signals Designing.	IEEE 11-th International Symposium on Electronics and Telecommunications (ISETC '14). Proceedings. Timisoara, Romania, 2014

ელექტროტექნიკისა და ელექტრონიკის დეპარტამენტი

(ხელმძღვანელი ტექნ. მეცნ. დოქტორი, სრული პროფესორი სიმონ ნემსაძე)

სამრეწველო ელექტრონიკის №9 საგანთა ჯგუფი

(სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი – სრ. პროფ. გურამ დგებუაძე)

**ელექტრომოწეობილობათა დიაგნოსტიკისა და რემონტის
№10 საგანთა ჯგუფი**

(სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი – სრ. პროფ. შოთა ნემსაძე)

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

სულ 25 თანამშრომელი, მათ შორის 8 სრული, 6 ასოცირებული და

1 ასისტენტ პროფესორი, 9 უფროსი მასწავლებელი

* სახელმწიფო გრანტით დაფინანსებული
სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	წყლისა და ბუნებრივი აირის რაციონალური მოხმარების SCADA სისტემა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის	სტუ-ს გრანტი № 678-ის ანგარიში 2014წ.	დ.ჯაფარიძე	ნ.ნაცვლიშვილი ლ.იმნაიშვილი დ.ჯაფარიძე ი.კლიმიაშვილი
დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)				

* პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	ბმერდების რაოდენობა
1	გ. კოსრეიძე, ს.ნემსაძე, მ. გაბრაშვილი, შ. ფხაკაძე	მუდმივი დენის გადაცემის ერთიანი გარდამქმნელი სისტემის სქემის დამუშავება რეჟიმების მართვისა და ოპტიმიზაციის პირობებში.	ჟურნალი „ენერჯია“ № 1(69).2014. თბილისი. გვ. 45-50	თბილისი, საქართველო, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	5
2	გ. კოსრეიძე, ს.ნემსაძე, ზ. რეხვიაშვილი, შ. ფხაკაძე	არის ელექტროსადგურის ასინქრონული გენერატორის მუშაობის რეჟიმების გამოკვლევა	ჟურნალი „ენერჯია“ № 1(69).2014. თბილისი.	თბილისი, საქართველო, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	6
3	გ. კოსრეიძე, ს.ნემსაძე, ზ. რეხვიაშვილი,	ქარის ელექტროენერგეტიკული დანადგარების ერთიანი	ჟურნალი „ენერჯია“	თბილისი, საქართველო, საქართველოს	7

	შ. ფხაკაძე, ზ. პაპიძე, ე. ტეტუნაშვილი	გარდამქმნელი სისტემა და მუშაობის რეჟიმების დადგენა		ტექნიკური უნივერსიტეტი	
4	გ.კოხრეიძე, მ.გაბრაშვილი, შ. ფხაკაძე, ე. ტეტუნაშვილი	სამფაზა ერთბოგირა მართვად გამმართველებში ელექტრომაგნიტური გარდამავალი პროცესების მათემატიკური და კომპიუტერული მოდელირება	„ეურნალი „ენერჯია“	თბილისი, საქართველო, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	7
5	თ.მუსელიანი ი.ქათმაძე. გ.მუსელიანი მ.ბახტაძე	დამახინჯების სიმძლავრე და სიმძლავრის დანაკარგები ელექტრულ ქსელებში.	№2, 2014 წ., გვ. 28-32	თბილისი, „ენერჯია“	4
6	თ.მუსელიანი ი.ქათმაძე. გ.მთვარელიშვილი	შუქდიოდური სანათები და მათი გამოყენების პერსპექტივები განათებისათვის	თბილისი, 2014	ეორე საერთაშორისო კონფერენცია „ ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ“. თბილისი,	5
7	თ.მუსელიანი ი.ქათმაძე მ.ბახტაძე	დამახინჯების სიმძლავრის განსაზღვრა ძაბვისა და დენის მრუდების ფურიეს მწკრივად დაშლის შედეგების საფუძველზე	თბილისი, 2014	საერთაშორისო სამეცნიერო ეურნალი ინტელექტუალი 2014	
8	თ.კოხრეიძე ე.ჩაჩხიანი	ელექტროენერჯიის ხარისხის ამალღების აქტუალური საკითხები. „ენერჯია“	№1, (69)2014 წ.,	თბილისი,	7
9	თ.კოხრეიძე კ.კოხრეიძე	ახალი თაობის ენერგეტიკული დანიშნულების ზეგამტარული ტრანსფორმატორი მაღალი ტექნიკურ- ეკონომიკური	№1, (69)2014	თბილისი	7

		მაჩვენებლებით „ენერჯია“			
10	თ.კოხრეიძე ვ.მეტრეველი	ელექტრული სისტემის დინამიკური მდგრადობის ამაღლებისათვის ელექტროენერჯიის ზეგამტარული ინდუქციური მაგროვებლის გამოყენება და პროცესების მათემატიკური უზრუნველყოფა. „ინტელექტუალი“	№25 2014	თბილისი	10
11	თ.კოხრეიძე ნ.უფლისაშვილი	საქართველოს ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემები. „ინტელექტუალი“	№25 2014	თბილისი	6
12	თ.კოხრეიძე ე.ჩახიანი	ელექტროსისტემების სიხშირის შენარჩუნება მუდმივ დონეზე და მისი რეგულირების აქტუალური საკითხები „ენერჯია“	№2(70) 2014	თბილისი	10
13	თ.კოხრეიძე კ.კოხრეიძე	ზეგამტარული ტრანსფორმატორების გრაგნილების სადენების დენგამტარიანობა და დანაკარგები ცვლად მაგნიტურ ველში „ენერჯია“	№2(70) 2014	თბილისი	10
14	თ.კოხრეიძე ე.ჩახიანი	ელექტროსისტემაში ძაბვისა და რეაქტიული სიმძლავრის ავტომატური რეგულირების აქტუალური საკითხები	№26 2014	თბილისი	7

		ინტელექტუალი”			
15	თ.კოსრეიძე კ.კოსრეიძე	ენერგეტიკული დანიშნულების ზეგამტარული ტრანსფორმატორის მათემატიკური მოდელი „ინტელექტუალი”	№26 2014	თბილისი	7
16	თ.კოსრეიძე ვ.მეტრეველი	ელექტროსისტემის შემადგენლობაში ელექტროენერჯის ზეგამტარული ინდუქციური მაგროვებლის მუშაობის სპეციალური რეჟიმები „ენერჯია”	№3(71) 2014	თბილისი,	3
17	თ.კოსრეიძე ნ.უფლისაშვილი	საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების კრიტერიუმები და შეფასების მანვენებლები „ენერჯია”	№3(71) 2014	თბილისი,	5
18	თ.კოსრეიძე კ.კოსრეიძე	ახალი თაობის ზეგამტარული სტატიკური მაკომპენსირებელი მოწყობილობა როგორც ელექტრულ სიმძლავრის დანაკარგების შემცირების და ძაბვის სტაბილიზაციის ერთ- ერთი ეფექტური საშუალება	№3(71) 2014	თბილისი,	5

ანოტაციები

1. სტატიაში წარმოდგენილია მუდმივი დენის გადაცემის ერთიანი გარდამქმნელი სისტემების სტრუქტურული ბლოკური დამუშავებული სქემა, რომელშიც ძირითადად გათვალისწინებულია გადაცემისა და მიმღები სისტემის გენერატორები, დატვირთები,

- ძალოვანი ტრანსფორმატორები , გამართვისა და ინვერტირების ბოგირები, მართვის სისტემები, შესაბამისი რეგულატორები , ბიპოლარული გადამცემი ხაზი და რეაქტორები.
2. მოცემულია ასინქრონული მანქანის მუშაობის დამახასიათებელი ზოგიერთი სიდიდეების : როტორის კუთხური სიჩქარის, როტორში ე.მ. ძალასა და როტორში გამავალ დენს შორის ძერის კუთხის სრიალზე დამოკიდებულების გრაფიკები. შედგენილია ასინქრონული გენერატორის შენაცვლების სქემა და შესაბამისი წინაღობის ჰოდოგრაფი.
 3. დამუშავებულია მუდმივი დენის ძრავისა და წვევის ქვესადგურის სამფაზა გამმართველ-ინვერტორული გარდამქმნელის პარალელური მუშაობისას მიმდინარე ელექტრომაგნიტური პროცესები.
 4. გადაწყვეტილია ქარის ენერგეტიკული დანადგარების სისტემისა და ცვლადი დენის ქსელის პარალელური მუშაობისას რეჟიმების მართვისა და რეგულირების ძირითადი საკითხები.
 5. ჩატარებულია მზის ფოტოელექტრული სისტემისა და ცვლადი დენის ქსელის პარალელური მუშაობისას მიმდინარე გარდამავალი პროცესების გაანგარიშება და ანალიზი.
 6. დამუშავებულია ქარის ენერგეტიკული დანადგარებში ელექტრომაგნიტური გარდამავალი პროცესების როგორც მათემატიკური, ასევე კომპიუტერული მოდელირების საკითხები. შედგენილია ქარის ელექტროენერგეტიკული დანადგარების ერთიანი გარდამქმნელი სისტემა ცვლადი დენის ქსელთან პარალელური მუშაობის პირობებში. დადგენილია მუშაობის რეჟიმების შესაბამისი საანგარიშო ელექტრული სქემები.
 7. დამუშავებულია სამფაზა ერთბოგირა მართვად გამმართველებში ელექტრომაგნიტური გარდამავალი პროცესების მათემატიკური და კომპიუტერული მოდელირების მეთოდიკა ცვლადთა კომპლექსური და სპექტრალურ-ოპერატორული გარდაქმნების საფუძველზე.
 8. წარმოდგენილია ენერჯის მუდმივი დენით გადაცემისას რეჟიმების მართვა და შესაბამისი პროცესების მათემატიკური და კომპიუტერული მოდელირების მეთოდიკა.
 9. განხილულია ელექტროენერჯის ხარისხის ამაღლების აქტუალური საკითხები. ელექტროენერჯის ხარისხის მაჩვენებლად განხილულია სისშირე და ძაბვა. განხილულია ახალი თაობის ენერგეტიკული დანიშნულების ზეგამტარული ტრანსფორმატორი.
 10. განხილულია პროცესები სინქრონულ ელექტრულ ძრავებით დატვირთულ ელექტრულ სისტემაში, ენერჯის ზეგამტარული ინდუქციური მაგროვებლის მონაწილეობით.
 11. ქვეყნის ენერგეტიკულ ბალანსში საკუთარი მოპოვებული ენერგორესურსის წილი შეადგენს მხოლოდ 1/3 , რაც მეტყველებს იმაზე , რომ ენერგეტიკული უსაფრთხოება

იმპორტის გარეშე არ იქნება დაცული.

12. განხილულია ელექტროსისტემის სიხშირის შენარჩუნება მუდმივ დონეზე და მისი რეგულირების აქტუალური საკითხები.

13. განხილულია ზეგამტარული ტრანსფორმატორების გრაგნილების სადენების დენგამტარუნარიანობა და დანაკარგები ცვლად მაგნიტურ ველში.

14 . განხილულია ელექტროსისტემაში ძაბვისა და რეაქტიული სიმძლავრის ავტომატური რეგულირების საკითხები, სინქრონული მანქანების ნახევრადგამტარული და ციფრული აგზნების ავტომატური რეგულატორების საშუალებით.

15 .დამუშავებულია ენერგეტიკული დანიშნულების ზეგამტარული ტრანსფორმატორის მათემატიკური მოდელი. მიღებულია სტაციონალური და გარდამავალი რეჟიმების განტოლებათა სისტემები.

16. განხილულია ელექტროსისტემის შემადგენლობაში ელექტროენერჯის ზეგამტარული ინდუქციური მაგროვების (ეგ ზიმ)- ელექტრული სქემა და მუშაობის სპეციალური რეჟიმები: ეგ ზიმ-ში ენერჯის დაგროვების რეჟიმი ; ეგ ზიმი-დან ენერჯის გამოყვანის რეჟიმი; ეგ ზიმის ზღვრული განმუხტვის რეჟიმი.

17. საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების (ეუ) პრობლემა აქტუალური გგახდა ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. განხილულია ის მექანიზმები , რომლებითაც შესაძლებელია ეუ მდგომარეობის შეფასება, გაანალიზება და სათანადო ღონისძიებების შემუშავება.

18. განხილულია ახალი თაობის ზეგამტარული სტატიკური მაკომპენსირებელი მოწყობილობის (ზგსმმ) ელექტრული სქემა და მისი მართვის სისტემა.

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Г.Кохреидзе	Математическое и	Труды Кременчукского		

	М.Бахтадзе З.Рехвиашвили	компьютерное моделирование электромагнитных переходных процессов в ветроэнергетической установке	национального университета Проблемы энергоресурсосбережения в электромагнитных системах, наука, образование и практика Выпуск 1.2014 (2) Г. Кременчук-2014		
2	Кохреидзе Г.К., Лаошвили Д.П. Пхакадзе Ш.А.	Электромагнитные процессы при параллельной работе двигателя постоянного тока и трехфазного мостового выпрямительно-инверторного преобразователя тяговой подстанций.	Стратегические вопросы мировой науки	Польша.2014	5
3	Кохреидзе Г.К., Лаошвили Д.П., Пхакадзе Ш.А	Управление и регулирование режимов параллельной работы ветроэнергетической системы и сети переменного тока.	Перспективные научные исследования. Том22. Технологии	София."Бял ГРАД-БГ" ООД.2014 ст.3-12	9
4	Кохреидзе Г.К., Лаошвили Д.П., Пхакадзе Ш.А	Регулирование и управление переходных процессов при параллельной работе солнечных фотоэлектрических систем и сети переменного тока	Европейская наука XXI века	Регистр.№15837 7.Польша.2014	7

5	Кохреидзе Г.К., Муселиани Т.Г., Бахтадзе М., Рехвиашвили З.З	Математическое и компьютерное моделирование электромагнитных переходных процессов в ветроэнергетической установке.	Проблемы энергоресурсосбережения в электротехнических системах.	Наука, образование и практика (ICPTTS 2014)/ Украина, г. Кременчук 2014. Стр.70-73.	4
6	Кохреидзе Г.К., Немсадзе С.Г., Бахтадзе М., Габрашвили М	Моделирование и управление режимов при передаче энергии постоянным током.	Проблемы энергоресурсосбережения в электротехнических системах	Наука, образование и практика (ICPTTS 2014)/Ук раина, г. Кременчук 2014. Стр.341-344	4

ანოტაცია

- 1.დამუშავებულია მუდმივი დენის ძრავისა და წვეის ქვესადგურის სამფაზა გამმართველ-ინვერტორული გარდამქმნელის პარალელური მუშაობისას მიმდინარე ელექტრომაგნიტური პროცესები.
2. გადაწყვეტილია ქარის ენერგეტიკული დანადგარების სისტემისა და ცვლადი დენის ქსელის პარალელური მუშაობისას რეჟიმების მართვისა და რეგულირების ძირითადი საკითხები.
- 3 ჩატარებულია მზის ფოტოელექტრული სისტემისა და ცვლადი დენის ქსელის პარალელური მუშაობისას მიმდინარე გარდამავალი პროცესების გაანგარიშება და ანალიზი.
- 4 დამუშავებულია ქარის ენერგეტიკული დანადგარებში ელექტრომაგნიტური გარდამავალი პროცესების როგორც მათემატიკური, ასევე კომპიუტერული მოდელირების საკითხები.
- 5.წარმოდგენილია ენერჯის მუდმივი დენით გადაცემისას რეჟიმების მართვა და შესაბამისი პროცესების მათემატიკური და კომპიუტერული მოდელირების მეთოდიკა

ელექტრომონტაჟის ტექნოლოგიის დეპარტამენტი

(ხელმძღვანელი ტექნ. მეცნ. დოქტორი, სრული პროფესორი ბადურ ჭუნაშვილი)

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

სულ 11 თანამშრომელი, მათ შორის 5 სრული, 4 ასოცირებული და
2 უფრ. მასწავლებელი

* პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გ. ცხომელიძე	ელექტროტექნოლოგიური პროცესების მართვის ციფრული სისტემები II	ლექციების კონსპექტი (ელექტრონული ვერსია)	30გვ.
2	გ. ცხომელიძე	სისწორულ- რეგულირებადი ელექტროამპრავის მართვის ციფრული სისტემები	ლექციების კონსპექტი(ელექტრო ნული ვერსია)	67გვ.
3	გ. ცხომელიძე	სისწორულ-რეგულირებადი ელექტროამპრავის მართვის ციფრული სისტემების ელექტრო-მაგნიტური თავსებადობის საკითხები	დამხმარე სახელმძღვანელო (მომზადებულია გამოსაცემად)	7გვ.
4	გ. ცხომელიძე	ძალოვანი სისწირის გარდამქნელების კლასიფიკაცია და შედარება	დამხმარე სახელმძღვანელო	8გვ.
5	გ. ცხომელიძე	მეთოდური მითითებები დისციპლინაში სისწორულ- რეგულირებადი ელექტროამპრავის მართვის ციფრული სისტემები II	მეთოდური მითითებები ლაბორატორიული სამუშაოების ჩასატარებლად	30გვ.

6	გივი შაველაშვილი	ელექტრომოწობილობის მონტაჟი, ტექნიკური ექსპლუატაცია და რემონტი (I-ნაწილი)	დამტკიცებულია სტუ-საბჭოს მიერ, გავლილია რედაქტირება, გადაცემულია დასაბეჭდად	170გვ.
---	------------------	--	---	--------

ანოტაციები

1. გ.ცხომელიძე-ელექტროტექნოლოგიური პროცესების მართვის ციფრული სისტემები I

ლექციების კონსპექტში განხილულია ელექტრული ენერჯის გარდაქმნის სახეები, ინჟინრული გამოთვლები, ელექტროტექნოლოგიური მოწყობილობები, მათი მართვის პრინციპები და თავისებურებები. სპეციფიკური ელექტროტექნიკური მოწყობილობა ორგანულად დაკავშირებულია ტექნოლოგიურ პროცესთან. მათი შექმნა დაპროექტება და სწორი ექსპლუატაცია შესაძლებელია მხოლოდ ელექტროტექნოლოგიური პროცესების ღრმა გაგებით. ექციების კონსპექტის პირველ ნაწილში მოცემულია ძირითადი ელექტროტექნოლოგიური დანადგარის მუშაობის ფიზიკური საფუძვლები და ელექტროტექნოლოგიური მოწყობილობის შემადგენელი ელემენტების აღწერა. მეორე ნაწილში მოყვანილია ელექტროტექნოლოგიური დანიშნულების სისტემების მართვის სტრუქტურა, აღწერილია შემადგენელი ელემენტები და განხილულია ძირითადი მართვის პრინციპები. ჩატარებულია ლოგიკური პროგრამირებადი კონტროლერების აღწერა.

2. გ. ცხომელიძე -სისშირულ რეგულირებადი ელექტროამძრავის მართვის ციფრული სისტემები II.

